

პოლიტიკა

ხვალ იყო სენია...

გუშინ პარლამენტის როგორც სახელისუფლებო, ისე ოპოზიციური ძალები, სხვადასხვა კაბინეტებში დახურულ კარებს მიღმა იკრიბებოდნენ და მომავალი საგანგებო სესიის დღის წესრიგზე მსჯელობდნენ. კონსულტაციები, სავარაუდოდ, დღესაც გაგრძელდება. დღესვე საღამოს საქართველოს პარლამენტის ბიურო უკვე ოფიციალურად განიხილავს და დაამტკიცებს რეგარუმე სესიაზე განსახილველ საკითხთა წუსხას.

A2

უცხოეთი

ისრაელს რუსეთის მხარდაჭერის მოპოვება სურს

გუშინ ისრაელის საგარეო საქმეთა მინისტრი ბენიამინ ნეთანიიაჰუ მოსკოვს ეწვია. იგი ევროპაში მოგზაურობს და პალესტინელთა ლიდერის იასირ არაფატის საერთაშორისო იზოლაციაში მოქცევას ცდილობს.

A4

ეკონომიკა

მაჟორიტარების ხმაში 100 მილიონი ლარი დაჭდება

ფინანსთა მინისტრის მოადგილე ვასილ გიგოლაშვილი სამი საათის განმავლობაში თავდახრილი იდგა ტრიბუნაზე და მაჟორიტარი დეპუტატების კრიტიკას ისმენდა. მაჟორიტარები 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონპროექტში თავიანთი რაიონების დაფინანსების გაზრდას ითხოვდნენ, რისთვისაც, დაახლოებით, 100 მილიონი ლარია საჭირო.

A6

სამართალი

ავტონისკაქტორი ქრთამს არ იღებს - ირწმუნება საბჭაო პოლიციის ხელმძღვანელი

საგზაო პოლიციის შეფს დავით კობახიძეს თუ მოუსმენ, ქართველი ინსპექტორი მსოფლიოში ყველაზე მონესრიგებული, ზრდილი და, რაც მთავარია, ყველაზე პატიოსანი ინსპექტორია.

A7

საზოგადოება

მარაძის საპროტესტო რაქციონების რაქსტრი იზრდება

მას შემდეგ, რაც საპატრიარქოსა და პარლამენტის წევრების თხოვნით შობის მარხვის დამთავრებამდე შეწყვიტა შიმშილობა, გურამ მარაძემ გუშინ სარჩელი შეიტანა "ხუთჯერაინი" დროშის წინააღმდეგ.

A8

ანიმედი

| | | |
|---------|---|---|
| თბილისი | 4 | ☁ |
| ქუთაისი | 7 | ☁ |
| ბათუმი | 9 | ☁ |
| სოხუმი | 4 | ☀ |
| ფოთი | 8 | ☁ |
| თელავი | 3 | ☁ |
| ზუგდიდი | 7 | ☁ |
| გორი | 1 | ☀ |
| ახმეტა | 3 | ☁ |
| ჰიათურა | 4 | ☀ |
| ბაბრა | 3 | ☀ |

უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|--------------------|--------|
| აშშ დოლარი | 2.1400 |
| ევრო | 2.1950 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.4296 |
| რუბლი | 0.0672 |

ფოტოკონკურსის გამარჯვებული



B8

თამუნა თოდურობა

ხელისუფლება სტაბილურობასა და უსაფრთხოებას ვეღარ უზრუნველყოფს

აკაკი კვიციანიძე

“გაშინგონი ძალიან დაიღალა საქართველოს პრობლემებით. ამერიკელების პოზიცია უკვე ცალსახაა. ან ჩვენ დაინწყებთ რეფორმების გატარებას, ან მათი დახმარების იმედით აღარ უნდა გვექნდეს,” - განაცხადა გუშინ დავით გამყრელიძემ.

ამერიკაში სპეციალური და საკმა-

ოდ მაღალი დონის ვიზიტით მყოფი ახალი მემარჯვენეების ლიდერი სახელმწიფო დეპარტამენტში და კონგრესში საქართველოს მიმართ შეცვლილი განწყობის გამო საკმაოდ შეფოთებული ჩანდა.

ჯერ კიდევ ზაფხულში ამერიკის გავლენიან პოლიტიკურ წრეებში, მართალია, საქართველოს ხელისუფლების მიმართ იმედგაცრუება იგრძნობოდა, მაგრამ არა იმდენად, რომ მას რაიმე

ზიანი მიეყენებინა შევარდნაძის ავტორიტეტისათვის. საქართველოს შიდა პრობლემებზე და პოლიტიკურ კრიზისზე ანალიტიკურ წრეებში მაშინ გაცილებით უფრო ლიად საუბრობდნენ.

როგორც ჩანს, ბოლო თვეების მანძილზე, ანალიტიკოსების მსგავსად, განწყობა ამერიკის პოლიტიკურ წრეებში საგრძნობლად შეიცვალა.

ბაზრძია A3 ბავრძია

გამოთხოვება კოტა მახარაძისთან



A8

სამხრეთი

თბილისსა და ბაქოს, ალ-ზავაჰირისგან ვაშინგტონი დაიცავს

“ჩვენ უკვე ვაგროვებთ მასალებს, კონკრეტულად რა სახის დახმარება ესაჭიროებათ ამ ქვეყნებს.” ამ ბოზს აზერბაიჯანში აშშ-ს ელჩი როს უილსონი

ზავაზ ნალაძე

გუშინ საქართველოსა და აზერბაიჯანის სპეცსამსახურები ოპერატიულად გამოეხმაურნენ ვაშინგტონის გავლენიანი ანალიტიკური ცენტრების გუშინწინდელ გავრთხილებას, საერთაშორისო ტერორისტული ქსელის - “ალ ქაედას” ერთ-ერთი ლიდერის, ეგვიპტელი აიმან ალ-ზავაჰირის მიერ, საქართველოს, აზერბაიჯანის, რუსეთისა და ყაზახეთის ტერიტორიაზე მოქმედ და მშენებარე ნაფრთხილებებზე ტერორისტული აქტების განხორციელების საფრთხის შესახებ. ამის შესახებ “24 საათი” 23 დეკემბრის ნომერში წერდა.

გავლენიანი Heritage Foundation, კარნეგის ფონდისა და აშშ-ს სამხედრო აკადემიის ექსპერტების ბოლო გავრთხილებებში, პირველად არის საუბარი, რომ “ალ ქაედამ” კასპიისპირეთსა და კავკასიის რეგიონში ამერიკის ინტერესების (მათ შორის, ბაქო-სუფსის, ბაქო-ნოვოროსიის კის, თენგიზი-ნოვოროსიის კისა და ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენების) წინააღმდეგ, შესაძლოა, ჩერჩი ამოხეზულელები გამოიყენოს.

“აიმან ალ-ზავაჰირის მუქარის გამო, ოფიციალური შეტყობინება უშიშროების სამინისტროს ამერიკის ფედერალური საგამოძიებო

ბაზრძია A2 ბავრძია

ზიარყა თუ არა კოტა ნარკომაფილის სკამი

უშიშროების საბჭოს სხდომაზე ანტიკორუფციული ბიუროს მდივანსა და შინაგან საქმეთა მინისტრს შორის წამოჭრილმა უთანხმოებამ, შესაძლოა, გავრცელება სასამართლოში ჰპოვოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ კოტა ნარჩემამ ვილი ანტიკორუფციული უწყების რეპუტაციის შელახვისთვის საჯაროდ ბოდიშს არ მოიხდის. თუმცა, ცხადია, ამ უთანხმოების მიზეზები უფრო შორს მიდის, ვიდრე ანტიკორუფციულის თანამშრომლის ნარკომაფილა დადანაშაულება.

სოფიკო ახანიძე

“შესაშინებელი დაბაბული” - ასე უნოდა გუშინდელ რადიოინტერვიუში საქართველოს პრეზიდენტმა ქვეყანაში შექმნილ კრიმინოგენულ ვითარებას, ამ დროს კი დაშნაშავეობასთან ბრძოლაში მან “არც თუ სახარბიელო ტენდენციები” შენიშნა. პრეზიდენტის ეს შეფასებები, ცხადია, შერბილებული გამოეხატა იმ დავისთვის, რომლებიც შაბათს უშიშროების საბჭოს სხდომაზე ანტიკორუფციული ბიუ-

როს მდივანმა გამოაქვეყნა. ერთადერთი, რაც ამ შეფასებებს ერთმანეთისგან განასხვავებს, ის გახლავთ, რომ ეღუარდ შევარდნაძეს 1994-1997 წლების ნოსტალგია შემოსოლია, როცა “ხელისუფლებამ თავისი მკაცრი სიტყვა თქვა და ფართომასშტაბიანი ოპერაციებით კრიმინალურ სამყაროს, როგორც იტყვიან, თავისი ადგილი მოუჩინა”, კახა უფულავა კი სასამართლოდამცველებს სწორედ ძველი მეთოდებით მუშაობის გამო უჩივს.

ბაზრძია A7 ბავრძია

115-ლარიანი ხელფასი - პოპულიზმი თუ გამართლებული ნახიჭი

ბანდუა კვინიკაძე

“გაერთიანებული დემოკრატების” წინააღმდეგ, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდის შესახებ, უკვე საკმაო რეზონანსი მოჰყვა. შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ინიციატივით “დემოკრატებთან” გუშინ გამართულ შეხვედრაზე, მათი კანონპროექტი მკაცრად გააკრიტიკეს და ქვეყნისთვის ეკონომიკური უტედეურების მომტანად, პოლიტიკურმა კონკურენტებმა კი - პოპულიზმად შერაცხეს. მიუხედავად ასეთი

შეფასებებისა, ხელისუფლების, ეკონომისტი ექსპერტებისა და “გაერთიანებული დემოკრატების” კონსულტაციები ორი დღის შემდეგ კიდევ გაიმართება.

პირველი საკითხი, რაშიც “დემოკრატები” და ხელისუფლება ვერ თანხმდებიან, მინიმალური ხელფასის 115 ლარამდე გაზრდისთვის სახელმწიფოს მხრიდან დაბატებით გამოსახანი თანხების მოცულობაა. “გაერთიანებული დემოკრატების” გათვლებით, ამ მიზნის მისაღწევად, წლიურად 250 მილიონი ლარი იქნება საკმარისი. შრომისა და დასაქმების

ბაზრძია A6 ბავრძია

უკრაინა: ქარიზმული, რომელიც არაპირს ემუქრება

ჰოტა უტიაშვილი

საპროტესტო გამოსვლები კიევში ჩვეულებრივ ამაღ იქცა. დროდადრო ოპოზიცია ქუჩაში ათეულობით ათასი კაცის გამოყვანასაც ახერხებს. პრეზიდენტ კუჩმას რეიტინგი მოსახლეობაში სულ რამდენიმე პროცენტს შეადგენს, კიდევ უფრო უარესია მისი საერთაშორისო რეპუტაცია. და მაინც, თითქმის ყველა სერიოზული ანალიტიკოსი წინასწარმეტყველებს, რომ კუჩმა მშვიდობით მიაღწევს თავისი საპრეზიდენტო ვადის ბოლომდე, 2004 წლის შემოდგომამდე. ზოგი კი უფრო შორსაც მიდის და აცხადებს, რომ სწორედ კუჩმა და მისი მხარდამჭერები შესარულეზენ გადაწყვეტ

ბაზრძია A4 ბავრძია

იყავით სანახევარი!

და მოიგეთ მრავალი პრიზი ჯიშისა და კომპლექტის ერთად!

მიიღეთ მონაწილეობა ჯეოსელის ვიქტორინაში და მოიგეთ ყოველ კვირას: ავტომობილი ნივა, VESTEL-ის ფირმის ტელევიზორი, აუდიო, ვიდეო და DVD სისტემის მაგნიტოფონები "ელექტრონიკის საგან" * SAMSUNG-ისა და NOKIA-ს ტელეფონები, ელ-გეხერატორი, უფასო სასაუბრო დრო, ფრანგული პარფუმერია.

ვიქტორინაში მონაწილეობის მისაღებად საკმარისია:

- ⊖ იყოთ ჯეოსელის აქტიური აბონენტი
- ⊖ უპასუხოთ ყოველკვირეულ შეკითხვას:

ჯეოსელი საქართველოში პირველი GSM-ოპერატორია?

კვირის კითხვას ჯეოსელი დაგისვამთ ტელევიზიის ("რუსთავი 2" და "პირველი არხი"), რადიოს ("ფორტუნა", "ფორტუნა +") და გაზეთის ("24 საათის" და "ალია") საშუალებით. გამომისმეთ სწორი პასუხი და დაადასტუროთ თქვენი ზარიტ:

- ⊖ კი -დარეკეთ ნომერზე 111**
- ⊖ არა-დარეკეთ ნომერზე 222**



ნივა

ჯეოსელი

დაგაგებითი ინფორმაციისათვის დარეკეთ 928 96 822 770 177

*ელექტრონიკის მაღაზიები: თბილისი, მარჯანიშვილის 19 და აღმაშენებლის 146
 ბათუმი: გამსახურდიას 47, ურას 91; ქუთაისი: გრიშაშვილის 31.
 **ერთი ზარის ღირებულებაა 0.288 ლარი

საახალწლო ფანტაზია ჯეოსელში!

აბონენტთა საყურადღებოდ!
 ა.წ. 11 დეკემბრიდან თქვენ შეგიძლიათ უფასოდ გადაიფორმოთ ნომერი. იჩქარეთ!!! აქცია ძალაშია 2003 წლის 26 იანვრამდე.

შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

| | |
|---|---------------|
| გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. | პლანა უფასოა. |
| <p>სადავსავლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის მფლობელი, გაყიდვით მიიღებს თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შეჩვენის შემთხვევაში, დამატებითი გაცემების მოწოდებაში არ ანაბრის შევცვლით თქვენ თანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.</p> | |

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მიიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიზორი "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიზორის "ხალხის პირისპირ" შიკრებიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

სახელი და გვარი

ოჯახური მფლობელობა:
დაქორწინებული, დაუმორჩინებელი, გაყრილი, ძვირი

მისამართი:

შვილები: (თუ გააქვთ)

საფოსტო ინდექსი:

განათლება:
საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური

სამონტაჟო ტელეფონის ნომრები:

პროფესია:

ასაკი:

საფუძვალ ადგილი

დამხმარე კატეგორია: (გთხოვთ კატეგორია, რომელიც აკრძალავს თქვენს მონაწილეობას შოუში. მაგალითად, სიყვარული კლასი "არსებობს" ან ვერცხლის ძველებს დაუბრუნებთ, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)

შინაური ცხოველები: (თუ გააქვთ)

თქვენი ინტერესები და ჰობები:

შეხვედრისხარის თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?

როგორ გაატარებთ თქვენს იდეალურ დღეს?

გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ მოგზაურობით საერთაშორისო ბარში და სად?)

არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად ნახვიდით მასთან ერთად და რატომ?

როგორი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?

არჩევანი რომ გქონდეთ, სად ნახვიდით სამოგზაუროდ და რატომ?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საქონარ გარემოებას ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?

როგორია თქვენი საყვარელი მხარე და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?

გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც მცდარებით?

რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნაბიჯის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?

როგორი მუსიკა გიტყვობთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?

მიგიწევიათ ან გაგიკავებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც აბაყობთ?

თქვენი აზრით, რომელ ზღაპარულ პერსონაჟს უკავსებთ ყველაზე მეტად და რატომ?

რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმი?

გაქვთ ან გქონდათ თუ არა რაიმე მიტანა? კონკრეტულად რა?

ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?

გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ახალადა?)

გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეძლებთ თუ არა სტენოგრაფიის დასწავლა, ან ასტრონომიის გარკვეული ფორმის დასწავლა?)

ყველაზე უხარსილი სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:

რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თავაში?

უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადგებინათ თქვენს კერძოდ რა?

ყველაზე ცუდი საფუძვალ თქვენს ცხოვრებაში:

დღეს რომ მოგცვენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარეგნული უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიანეროთ თქვენი სახელი და გვარი.

ძიადო

ვაზაგაშვილს წელიწადი გახარება სურს

ორი წლის წინათ გიორგი ვაზაგაშვილის საქართველოდან წასვლის სურვილმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია. სიდნეის ოლიმპიური თამაშების პირველმა მედალოსანმა, რომელმაც იქ, ავსტრალიაში, ქართველთა მიერ მოპოვებულ ბრინჯაოებს დაულო სათავე, ახლა შინ არის და, ძველებურად საქართველოდან წასვლა სურს.



გიორგი ვაზაგაშვილს (მარცხნივ) სიდნეის ოლიმპიადის შემდეგ არ უჭიდავია

ბიზა ბარსაშვილი

ვაზაგაშვილისადმი ინტერესი არც ახლა გაგვნელებია. როდესაც მსოფლიო ჩემპიონატების ვერცხლის პრიზორს და ორგზის ბრინჯაოს მედალოსანს, ევროპის ჩემპიონატების ორი ოქროს, ორი ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალის მფლობელს შინ, სოფელ ფლაეში დაგუკავშირდით, იგი ვარჯიშობდა. ინტერვიუც ტელეფონით ჩამოვართეთ.

- სიდნეის ოლიმპიური თამაშების მეურ თქვით, საქართველოში ჩემი შესაძლებლობები ამოწურეო. რას გულისხმობდი ამაში და რატომ გადაწყვიტეთ საქართველოდან წასვლა?

- რაც შემეძლო, საქართველოსთვის ყველაფერი მაქსიმალურად გავაკეთე. მინდოდა, ერთ ოლიმპიურ თამაშებში სხვა ქვეყნის სახელითაც გამოვსულიყავი.

- როგორც ვიცე, საბერძნეთის მოქალაქეობა გსურდათ. რამდენად რეალურია ამ ქვეყნის სახელით ასპარეზობა?

- რა თქმა უნდა, რეალური იყო... ბერძნები მიგადაშვი ახლაც მესმია-ნებია.

- ისევე იქით იყურებთ? თუ აქ უკვე შექმნეს პირობები?

- არაფერი შეცვლილა. მხოლოდ ეგ არის, რომ, ჯერჯერობით, სხვა ქვეყნის სახელით გამოსვლის უფლებას არც საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი და არც საქართველოს საორთქლის სახელმწიფო დეპარტამენტი არ მძლევენ. ასე რომ, ისევე აქ ვარ. ვნახოთ...

- ამას წინათ საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მო-

თა საბარელო გვითხრა, ვაზაგაშვილი ნაკრებიდან არავის გაუშვია, მისთვის კარი ახლაც ღიაა, ნებისმიერ დროს შეუძლია დაბრუნდეს...

- თუ ოლიმპიური თამაშებისთვის ისე ვერ მოვემზადე, როგორც საჭიროა, მაშინ რა აზრი აქვს დაბრუნებას?

- ხელის შეწყობაში რას გულისხმობთ?

- უკვე ორი წელიწადია, რაც საქართველოს სახელით ტატამზე ვარ გავესულვარ. ამის გამო არც ხელფასი ამილია. კარგი იქნებოდა, სხვა ქვეყანაში წასვლის საშუალება რომ მოეცათ. ვნახოთ, როგორ იქნება. თუ არაფერი გამოვიდა, მაშინ ან რომელიმე უცხოურ კლუბში გადავალ, ან სხვა ქვეყნის მოქალაქეობას მივიღებ. ერთი სიტყვით, ჩემ გზას ვეწევი.

- გამოდის, რომ წაუსვლელი მის მიზეზი სეოკი და სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი ყოფილა. თუ ყველაფერი თქვენს სასარგებლოდ გადაწყვიტა და უცხო ქვეყნის სახელით გამოვსვალ, ნებადართვა მიიღეთ, უმალ გზას გაუდგებით. როდის ელით მათგან საბოლოო პასუხს?

- ვერ ერთი, ამ ორგანიზაციებზე ვარ დამოკიდებული. მეორეც, არ მინდა, მოვლენები სხვაგვარად განვითარდეს. მოკლედ, არ მინდა, თქვენ, ვაზაგაშვილს ეს და ეს გავუკეთეთ, მასზე ამაგი გავქვსო და ა.შ. როდესაც ოფიციალურად ამის დრო მოვა და ვეღარ დამაკავებენ, ალბათ, წავალ.

- ამის დრო როდის დადგება?

- მას შემდეგ, რაც საქართველოს

სახელით უკანასკნელად ვიჭიდავე, თითქმის ორი წელიწადი გავიდა. გარკვეული დრო კიდევ არის საჭირო. შემდეგ კი შემეძლება, მსოფლიო თუ ევროპის ჩემპიონატზეც გამოვიდე. რაც შეეხება ათენის ოლიმპიურ თამაშებს, იქ თანხმობის გარეშე ვერ წავალ.

- ოლიმპიურ თამაშებზე გამოსვლა ყველას ოცნებაა. თუ ათენში არ იჭიდავებ, გამოდის, რომ სპორ-

ტულ კარიერას ამთავრებ. ამიტომ, ხომ არ ჯობდა, ისევე საქართველოში დარჩენილიყავი?

- დაბ, ასეა, მაგრამ, საკმარისია, საბერძნეთის სახელით ერთხელ მაინც გავხდე ევროპის ჩემპიონი, რომ ამისთვის პრემია 75, ბრინჯაოსთვის კი 35 ათას დოლარს მივიღებ. მე მგონი, ამით ყველაფერი ნათქვამი. ასე რომ, ჯობს, საბერძნეთის სახელით გავხდე ევროპის ჩემპიონატის

მესამე პრიზორი, ვიდრე მსოფლიო ჩემპიონი საქართველოსთვის.

- ესე იგი, ბერძნებთან ერთი საპრიზო ადგილის დაკავებაც კი ღირს იმად, რომ საქართველოდან წახვიდეთ?

- უკვე დროა, მომავალზე ვიფიქრო, ცხოვრება მოვინჯო, ცოტა წელიწადი გავიმართო. სულთ და გულით მინდა, ოლიმპიურ თამაშებზე გამოვიდე, მაგრამ თუ ამის უფლება არ მომცეს...

რაზბი

ქართველთა ფრანგული თავბადასავალი

გასული უკმელები მეტ-ნაკლებად წარმატებული გამოდგა საფრანგეთში მომხრეთალი ქართველი მორაგებებისთვის. ტოპ 16-ის (უმალესი ლიგა) მეთუე ტურში თავი გამოიჩინა ლევან ცაბაძემ, მეორე დივიზიონში კი - მანუაჟ მაგრაქველიძემ.

პაატა თოთაძე

საფრანგეთში ქართული რაგბის დიასპორა ორ მორაგებზე მეტს ითვლის. ამიტომ გასული ტური ვისთვის წარმატებული გამოდგა დე ვისთვის - არა. პირველი გუნდი, რომელმაც პლეი-ოფში თამაშის უფლება მოიპოვა, "აჟენია". საფრანგეთის ჩემპიონატის პარანდელმა ფინალისტმა, რომლის ღირსებასაც შარშან მეველედ მთიულში იცავდა, ბოლო ტურში "კოლონი" დაამარცხა. ჩვენთვის საინტერესო ამბები დატრიალდა კლერმონფერანში, სადაც ადგილობრივმა "მონფერანმა" ქართველების გარეშე დარჩენილი "კასტრი" 22:0 დაამარცხა. მასპინძელთა ერთი ლელო ლევან ცაბაძის ანგარიშზეა. საერთოდ, "მონფერანი" წლებულს არათანაბრად თამაშობს და ეს მოგვება გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ტოპ 16-ის პირველ ჯგუფში, რომელშიც "მონფერანი" გამოდის, პლეი-ოფში გასვლის შანსს ყველა გუნდი ინარჩუნებს. ასე რომ, თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. იმავე ჯგუფში "სტად ფრანსე" საკუთარ მოედანზე დაამარცხა "გრენობლი" და, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი არ მოხდა, პლეი-ოფში გასვლა არ გაუჭირდება. ასეთივე დღეშია ქვეყნის ახლანდელი ჩემპიონი "ბიარისი". გუმინინ დიმიტრი იაშვილის გუნდმა სტუმრად დაამარცხა "ბორდო" (22:15) და სატურნო ცხრილის სათავეში მო-

ექცა. უკვე ყველა შეეჩვია იაშვილის კარგ თამაშს. მან ამ დღესაც თავისი გუნდის გამარჯვებაში უდიდესი წილი დაიღო - 17 ქულა მოიპოვა. ფრედ ითამაშა "პოსთან" ქართველებით მდიდარმა "ბეზიემ". ამჟამად კლუბის ღირსებას იცავს ოთხი ქართველი - ვანო ნადირაძე, ტატო რატინიძე, გოდერძი შველიძე და მეველედ მთიულშივილი. ამ ოთხეულიდან, მთიულშივილის გარდა, ყველა მოედანზე იყო, თუმცა, ქულა ვერც ერთმა ვერ მოიპოვა. მეორე ჯგუფში მოასპარეშა "ბეზიემ" ამჟამად მე-7 ადგილზეა, თუმცა, პლეი-ოფში გასვლის შანსს ჯერაც ინარჩუნებს. "პო" რომ დაემარცხებინათ, ქართველები გადაინაცვლებდნენ მე-4 ადგილზე, რომელიც ახლა მეტოქეს უკავია. მომავალი ტურის მატჩები ზვალ და ზევ გაიმართება, შემდეგ კი საფრანგეთის ჩემპიონატში ერთიანი შესვენება გამოცხადდება.

რაც შეეხება მეორე დივიზიონს, აქ წარმატებით ასპარეზობს მამუკა მაგრაქველიძის "მონპელიე". ამჟამად გუნდი სატურნო ცხრილში მეორე ადგილზეა, თუმცა, უმთავრესი ის არის, რომ ჩინებულ თამაშს აჩვენებს. გუმინინაც "მონპელიემ" მორიგი გამარჯვება მოიპოვა - "ოზენი" დაამარცხა (81:7). ქართველმა მორკინალმა ლელო გაიტანა. გრეგუარ იაშვილის "მეტრო-რასინგი" კიდევ ერთ ლიდერია, მაგრაქველიძის ყოფილ კლუბთან - "ბრიგთან" შერცხვა (12:54). ნაგო აუტსაიდერმა "ორიაკმაც", რომლის ღირსებას



ლევან ცაბაძე საფრანგეთშიც მაგარია

პალიკო ვიშნელაძე და ირაკლი აბუსერიძე იცავენ. გია ლაბაძის "ტულონისა" და ბესიკ ხამაშურიძის "ოზის" დაპირისპირება "ტულონის" გამარჯვებით დასრულდა. ლაბაძე 58-ე წუთზე შეცვალეს, "ანტილოპამ" კი მთელი მატჩი შეუცვლელად ითამაშა მცველის პოზიციაზე. ჩემპიონატის სტარტზე კარგად მოთამაშა "ორიაკმაც", რომლის ღირსებას

მატჩი ნაგო, ამჯერად დეიუტანტ "ლიონთან". ნიკოლაენკომ მხოლოდ პირველი ტაიმი ითამაშა "ლა როშელის" შემადგენლობაში.

დეტულების მიხედვით, საუკეთესო ოთხეული საფრანგეთის ჩემპიონატის მეორე დივიზიონის ჩემპიონის ტიტულისთვის პლეი-ოფში ითამაშებს. ტოპ 16-ის საგზურს კი ორი გუნდი მიიღებს - პირველ ეტაპზე საუკეთესო და ჩემპიონი.

ჰოკეი

სტივ აიუარმანი დილემის წინაშე

NHL-ის ერთ-ერთი უდიდესი ჰოკეისტი, სტივ აიუარმანი, დილემის წინაშე აღმოჩნდა - მოსალაგნდება, დეტროიტელი "ნითელი ფრთების" ფორვარდი ჰოკეის დაემშვიდობოს. იღობა მარჯვენა ფეხის ქრონიკულმა ტრავმამ გაჩენის საშუალება არ დარჩეს. ყოველ შემთხვევაში, ჰოკეისტის მკურნალი ექიმი პიტერ ფოულერი ფიქრობს, რომ აიუარმანის დიდ სპორტში დარჩენის ალბათობა 50 პროცენტია.

უკვე კარგა ხანია, რაც ჰოკეისტს მარჯვენა მუხლი აწუხებს. სეზონის დაწყების წინ მას რთული ოპერაცია გაუკეთეს. თავდაპირველი გათვლით, დეტროიტელი ფორვარდი ყოველდღის საშუალებას იღობდა თანერევის დასაწყისში უნდა გამოჩენილიყო. შემდგომი ვარაუდი უფრო ოპტიმისტური აღმოჩნდა - მის დაბრუნებას დეკემბერში ელოდნენ.

სინამდვილეში "ნითელი ფრთების" 19-მა ნომერმა რამდენიმე კვირის წინ ვარჯიში კი დაიწყო, მაგრამ მისი მდგომარეობა იდიალურისგან შორს არის. ყინულზე დაბრუნებისთვის საჭიროა, მუხლის არემი მძაფრ ტრეილი შეუსწავს.

დეს. თუმცა, საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ დიდი მიღწევა იქნება, თუ აიუარმანი ტრეილის გარეშე სიარულს შეძლებს. "არ მინდა, ვიფიქრო, რომ მას კარიერის დამთავრება მოუწევს. სტივს მაქვს, ერთი-ორი წელი კიდევ ითამაშოს", - ამბობს ფოულერი. თუმცა, ამის შანსი სულ უფრო მცირდება. თვითონ აიუარმანი კი ოპტიმისტურად არის განწყობილი.

"სამი სტენლის თასი კარგია, მაგრამ ოთხი უკეთესი იქნებოდა, - დიმილით ამბობს აიუარმანი, - დიდი იმედი მაქვს, რომ დაბრუნდები. მდგომარეობა თანდათან მოუჭობესდება, მაგრამ ყინულზე მოძრაობის ადგილის პროცესი ისე სწრაფად არ მიმდინარეობს, როგორც მინდოდა".

NHL-ში, მთელი კარიერის განმავლობაში, აიუარმანმა 1362 მატჩი ჩაატარა. მის ანგარიშზეა 658 გოლი და 1004 შედეგიანი გადაცემა. "დეტროიტ რედ უინგზის" შემადგენლობაში სამჯერ მოიგო სტენლის თასი და ერთხელ გახდა პლეი-ოფის საუკეთესო მოთამაშე. აიუარმანი სოლტ-ლეიკ-სიტის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონია.

მოკლედ

ოლიმპიზმი. ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ატალ ბიხარი ვაჯპაის განცხადებით, მისი ქვეყანა მზადაა, 2012 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლოს. ამჟამად ინდოეთის ხელისუფლების უმაღლესი პირი განიხილავს ანდრას-პრადეის მატჩის მთავარი მინისტრის წინადადებას, რომლის მიხედვითაც 2012 წლის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა ხაიდარაბადს სურს.

სამთი თილამურები. სამგზის ოლიმპიურმა ჩემპიონმა, ხორვატმა იანიკა კოსტელიმმა შვეიცარიის ლენცერხეიმი მსოფლიო თასზე ასპარეზობისას პეტორიკი შეასრულა. ჯერ სლალომში, მსოფლიო თასის მეთოხე ეტაპზე გაიმარჯვა, შემდეგ კი - კომბინაციაში. მსოფლიო თასის საერთო ჩათვლაში ხორვატმა ლიდრობა განიმტკიცა.

სამთი თილამურები. ამერიკელმა ბოდე მილერმა, მსოფლიო თასზე გვიანტურ სლალომში, მთელი წლის განმავლობაში, ვერც ერთი ეტაპი ვერ მოიგო. ამჯერად, როგორც იქნა, ნავსი გატყდა - იტალიაში, ალტა ბადაში, გვიანტური სლალომის მეთოხე ეტაპზე, მილერმა გაიმარჯვა.



გეპაპოქიშვილი „ლაგუნა ვიკი“

ბარიონიკონი, გაზრდილი, ალმოდოვარი, სონტაგი და სხვები

ბალერონი ნიუ-იორკში ახალი პროექტით ბრუნდება



მომავალი მოცეკვავეები ქორეოგრაფიული ცენტრის მოლოდინში

თამარ ბაბუაძე

ეს სიმბოვნება სულ რაღაც რვა მილიონი დოლარი დაჯდება. ბიუჯეტში უკვე დევს სამი მილიონი. აქედან ორი პირადად მიხილი ბარიონიკონი შეადგენს ცეკვით, ერთი კი პოპარდ ვილმანის ფონდში გაიღო. 2004 წლის პირველ ნახევარში მანჰეტენზე, ახლად აღმართულ შენობაზე დიდი ასოებით გამოცხადდა ტრაფარეტი გამოიკრება: ბარიონიკონის ქორეოგრაფიული ცენტრი – ადგილი, რომელიც უკვე გახდა მრავალი მოცეკვავის საოცნებო სასწავლებელი და ნიუ-იორკის უმნიშვნელოვანესი კულტურული ღირესანიშნობა.

ცენტრის გახსნამდე კი 55 წლის ბალერონმა კიდევ ბევრი უნდა იცეკვოს. სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო მილიონებს მიეძღვნება მისი საგაზაფხულო და საზაფხულო ამერიკული ტურიც, რომელზეც ბარიონიკონი მაყურებლის წინაშე სოლო პროგრამით წარედგება. სანამ ცენტრის იდეა გაჩნდებოდა, ბალერონი მთელ ძალებს ახმარდა ჯერ ამერიკის საბალეტო თეატრს, შემდეგ კი White Oak-ის ქორეოგრაფიულ ანსამბლს, რომელშიც სახელგანთქმული მოცეკვავეები შედიან და რომელიც თავად ბარიონიკონის ინიციატივით 1989 წელს შეიქმნა. საინტერესოა, რატომ გადაწყვიტა ისედაც ძალიან დაკავებულმა ხელოვნებაში ცენტრის დაარსება და რამ შესძინა ამ უზარმაზარი პროექტისთვის საჭირო ენთუზიაზმი? თუმცა, ადამიანისგან, რომელიც ყოველ დღეს საკუთარ თავს ეკითხება, რა უნდა გააკეთო მე დღეს სასარგებლო, - ისეთი გიგური იდეებიც არ უნდა გავგვიკვირდეს, როგორც მანჰეტენზე ხელოვნების ცენტრის წამოყვანა.

თავად ბარიონიკონი აცხადებს:

“ვიცი, ეს გიგური იდეაა, მაგრამ იმაშიც დარწმუნებული ვარ, რომ მსგავსი ცენტრი ქალაქს ძალიან სჭირდება. იყო დრო, ამ ქალაქში ხელოვნები იკრიბებოდნენ, მსჯელობდნენ, ერთობოდნენ... დღეს კი ეს კავშირი აღარ არსებობს, ყველაფერი თამაშად იქცა – პრეს-აგენტებიც, საქველმოქმედო საღამოებიც... ხალხს ურჩევნია, წარმატების მისაღწევად მედიას, დირექტორთა საბჭოებს ასიაზღვროს. ასეთ გარემოში კი განსაკუთრებით დამსყუბებს უჭირთ. ჩემი ცენტრი სწორედ მათთვის იქნება”.

ბარიონიკონის ქორეოგრაფიული ცენტრი, ანუ იგივე ხსნა დამწყები ხელოვნებისთვის, ნიუ-იორკში, 37-ე ქუჩაზე გაიხსნება. მისი მაღალ დონეზე მოწყობილი სარეპეტიციო სტუდიები და ოფისები შედსართულიანი შენობის ბოლო ოთხ სართულზე განთავსდება. სახლი, რომელიც სამშენებლო სამუშაოების 2004 წელს დასრულდება, ერთგვარი ხელოვნების ცენტრი გახდება: ის ხომ, ბარიონიკონის სტუდიების გარდა, რამდენიმე თეატრსაც შეიფარებს. ერთ-ერთი, სამადაგილიანი თეატრი კი სპეციალურად ბარიონიკონის ცენტრს მოემსახურება.

თუმცა, ბალერონის აზრით, მისი პროექტის მთავარი ღირსება კეთილმოწყობილი სტუდიები კი არა, ე.წ. ლაბორატორიული სამუშაოები იქნება: სფეროების მიხედვით შედგენილ შემოქმედებით სახელოსნოებში სტუდენტებს ლექციებს ნაუკითხავენ ქორეოგრაფის, თეატრის, კინოსა და დიზაინის დარგების წამყვანი სპეციალისტები. უკვე დაკომპლექტებულია 18-კაციანი შემოქმედებითი საკონსულტაციო საბჭოც, რომლის წევრებიცაა ბარიონიკონი ძალიან ამაყობს: რეჟისორი პედრო ალმოდოვარი, თანამედროვე ცეკვის პიონერი მერს კუინიგემი, ქორეოგრაფი უილიამ ფორსაიტი, მევილინე გილონ კრე-

მერი, რეჟისორი პიტერ სელერსი, მწერალი სიუზენ სონტაგი, განათების დიზაინერი ჯენიფერ ტიპტონი და, რაც ჩვენთვის განსაკუთრებულად სასიამოვნოა, რეზო გაზრდილი – ეს ადამიანები უშუალოდ გაუძღვებიან სწავლის პროცესს.

“უდროს მართლა უყვარს ნიუ-იორკი და უნდა, ახლაგზრდა სცენარისტებსა და რეჟისორებს შეხედეს. პიტერ სელერსს მასწავლებლობა სურს. 2004 წლიდან ნიუ იორკი უილიამ ფორსაიტის მისამართიც გახდება, რადგან ის ფრანკ-ფურტის ბალეტის ხელმძღვანელის პოსტიდან გადადგება... მოკლედ, ჩვენთან ნებისმიერ ადამიანს მივიღებთ, ვისაც ხელოვნება უყვარს და მასთან რაღაც აკავშირებს” - აცხადებს ბარიონიკონი და ჰყვება, თუ კიდევ რამდენი კარგი რამის გაკეთება შეიძლება ხელოვნების ცენტრში. “პროგრამების შესადაგენად ნინ კიდევ წელსადაცხადებარს გვაქვს”, - თავს იმედებს ის და მოკლედ ასე ახასიათებს ცენტრს: “ეს იქნება ადგილი, სადაც ნებისმიერი სფეროს დამწყები ხელოვნების შეიკრიბებიან და საკუთარსა და ჩვენს მომავალზე ისაუბრებენ”.

ნიუ-იორკის კულტურულ ცხოვრებაზე ზრუნვის გარდა, ბარიონიკონს პირადი მიზნებიც ამოძრავებს: “ამერიკის საბალეტო თეატრის დირექტორებიდან წასვლის შემდეგ ნიუ-იორკიც მივატოვე. ცენტრის გახსნა კი ჩემი ნიუ-იორკში დაბრუნება იქნება. ამ ყველაფერს წმინდა ეგოისტური მიზნით ვაკეთებ. მიყვარს დამწყები ხელოვნებები დაკვირვება, მინდა იმედგაცრუებისა და წარმატების დროს მათ გვერდით ვედგე. ყველაზე დიდი ბედნიერებაა იმ ისტორიული პროცესების მონაწილე იგრძნოთავე, რაც ხელოვნების მომავალს ცვლის”.

როგორც ჩანს, ბარიონიკონი თავისი ცენტრით ხელოვნების დარგში მიმდინარე ისტორიულ პროცესებში მონაწილეობას აპირებს.

მატრიარქასა და პატრიარქას შორის

ქალს კაცი უყვარს. კაცს კი - დედა

იტალია უდავოდ დედების ქვეყანაა. სწორედ დედისა და ოჯახის თემას ეხება ახლახან რომში გახსნილი გამოფენა. XX საუკუნის სა-მოცეკვაო ხელოვნების 120-ზე მეტი რეალისტური თუ აბსტრაქტული ნამუშევარი ხელოვნებაში იტალიური ოჯახის სპეციალური ასახავს. დელ კორსოს მუზეუმში გახსნილი გამოფენის ერთ-ერთი ორგანიზატორის, იტალიური ბანკის Cassa di Risparmio-ს ფონდის პრეზიდენტის, ბატონ ემანუელ ფრანჩესკო მარია ემანუელის თქმით, გამოფენა იტალიური თვითშემეცნების ყველაზე მნიშვნელოვან თემას ეხება: “სწორედ ხელოვნებაში ვლინდება ოჯახის როლი იტალიურ ყოფაში, მისი როლი როგორც ცალკე არსებული ინსტიტუტისა, სოციალური წყობის მნიშვნელოვანი ელემენტისა”.

“იტალიაში რევოლუცია მოხდა”: სურათებზე მამაკაცი აღმზრდელის როლი გვევლინება. ბალზანოს თეორიის თანახმად, იტალიაში ყოველთვის მატრიარქატი იყო. “ამას ხელოვნებაში დედის სახეც ნათელყოფს – წმინდათაწმინდა, მადონა, სიყვარულის წყარო, ისაა დომინანტა”.

გამოფენის ექვსი თემიდან ძირითადი სწორედ “დედა და მეუღლეა”. მეორე ნაწილის სახელწოდებაა “იდილია”, ასე ვთქვათ, ოჯახის პროექტები – ხელიხელაკიდებული შეყვარებულები და დანიშნულები. “მამები” სულ ორიოდე ნამუშევრით არიან წარმოდგენილი, ამკარად იჩაგრებიან. სულ სხვა სურათი გვხვდება “ყოველდღიური ოჯახური ცხოვრების სცენებში” - ნაირნაირი ვარიაციებია: დიდი იტალიური ოჯახის სადილი, ნათესავეებთან სტუმრობა, სავარძლებში მჯდომი უფროსები და მათ ფეხით მოთამაშე ბავშვები.

“ოჯახური სახეები”, ძირითადად, 20-იანი წლების პორტრეტებია – ყოველი მხატვარი ცდილობს, გარეშე სამყაროს ისეთად წარმოუჩინოს თავის ოჯახი, როგორც ის, მისი აზრით, საუკეთესო შემთხვევაში შეიძლება ყოფილიყო, ანუ დანაყრებული და გახარებული. ასე

თივე “ოჯახებს” ვხვდებით სარეკლამო ხელოვნებაშიც - არადამაჯერებლად კდემამოსილ ქალებს და საიმედო მამაკაცებს.

მაგრამ დიდი ოჯახის ბოლო ბასტიონი, იტალიაც შეირყა. ჯანჯული ოჯახი, ხელოვნებაშიც ცოდნემ და გამოფენის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა, ბრძანა, რომ გამოფენის მიზანი სულაც არ ყოფილა ოჯახის დიდება: “ჩვენ გვიხდა, რომ ადამიანები დაფიქრდნენ. ოჯახი ხომ მხოლოდ წინაპართა ხელოვნება და კმაყოფილი სახეები არაა. ჩვენ უნდა გვეყოს იმის სიმაღლე, რომ სწორი არჩევანი გავაკეთოთ და ბედნიერი მომავალი გვქონდეს”.

ერთგვარად სიმბოლურიცაა, რომ სწორედ ამ გამოფენის გახსნის დღეებში რომში სამეფო ოჯახი დაბრუნდა: იტალიის უკანასკნელი მეფის შვილი, 64 წლის უფლისწული, ვიტორიო ემანუელე, მისი მეუღლე, მარინა დორია და მათი ვაჟი, ემანუელე ფილიბერტო. ჩანს, იტალიელები მაინც დიდ პატივს სცემენ ტრადიციებს – თავად განსაჯეთ: რა მისაღები იყვნენ 1943 წელს გაქცეული, ბენიტო მუსოლინისთან შეკრული მონარქის ჩამოშლის შემდეგ? მაგრამ მაინც ოჯახია, რას იზამ.

წიგნი, რომელსაც ელოდით!

უკვე ქართულად, 26 დეკემბრიდან

თანამედროვე ზღაპარი პატარა ბიჭზე, პირიქე, რომელსაც ბონოტმა ჯადოსნურმა მშობლებმა დაუბრუნა და მისი მოკვდავ სკადი, მაგრამ ვერ შეძლო, ბონოტ ჯადოსნის ძალა დაეკარგა. პირი კი ჯადოსნობა სახიარლო ყველაზე ცნობილი და სახელგანთქმული ადამიანი გახდა. მოგვიანებით მის კიდევ მოუწია ბონოტ ჯადოსნობის შეხვედრა...

ეს წიგნი მსოფლიო პესტსელერად იქცა და მრავალ ქვეყანაში მილიონობით ბავშვს შეაყვარა კითხვა. ეს არის ზღაპარი სიკეთესა და ბონოტზე. ზღაპარი, რომელიც ეწინააღმდეგება მისწონთ ბავშვებსაც და მათ მშობლებსაც.

წიგნი ნებისმიერი ასაკის მკითხველისათვის.

ქანი კოტქისი

ფილოსოფიური ქაა

ბაკმი სულხაძის ბავშვთათვის

ლამაზი, ახალგაზრდა, მოხდენილი

ესეც ფოტომოდელი 2002!

ანა კორძაია-სამადაგვილი

გუშინ, საღამოს, რესტორან "იბერიაში", ჩვენი გაზეთის, "24 საათისა" და "იმიჯ-ცენტრის" მიერ ამ შემოდგომაზე გამოცხადებული ფოტოკონკურსის, "მის ფოტომოდელი 2002"-ის გამარჯვებულთათვის ჯილდოების და ამავე მოდელეების სააგენტოს კურსდამთავრებულთათვის დიპლომების გადაცემის ცერემონია გაიმართა.

ბევრი ახალგაზრდა და ლამაზი ქალი ერთად, თან საზეიმოდ გამოწყობილი - ცხადია, უმრავლესობას მაინც შავი კაბა ეცვა, მაგრამ ამის გამო ტრაგიკული განწყობა არ სუფევდა - და ჯილდოების მოლოდინში სასიამოვნოდ აღვზნებული და მოლოდინი, დამეთანხმებით, შესანიშნავი სანახაობაა. ამას დაურთეთ ისიც, რომ ისინი მოხდენილად

დადიან, კარგად ცეკვავენ და თან აღარაფერი აქვთ სადარდელი: სამთვიანი კურსი წარმატებით დაამთავრეს, საკმაოდ დამღვლები პროცესი - ფოტოკონკურსისთვის სურათების გადაღება - დასრულდა, და წინ მხოლოდ ჯილდოება, ახალი წელი და დიდი, წარმატებული და ნათელი მომავალი.

საღამოს წამყვანი მსახიობი ლაშა რამიშვილი იყო, რომელმაც გონებისთვის იმღერა კიდევ. სწორედ მან წარუდგინა დამსწრე საზოგადოებას სამი გამარჯვებული. ჩვენი გაზეთის მკითხველები მათ უკვე იცნობენ: მის საცურაო კოსტუმში, ნათი ნებიერიც - დარბაზის წინაშე არა საცურაო კოსტუმში, არამედ ვერცხლისფრად მოლილი ველვანტურ კაბაში გამოვიდა; "ვიცე მის ფოტომოდელი" რუსიკო ამამუკელი; და, რასაკვირველია, მის ფოტომოდელი 2002, თამუნა


თოფურია. რა გითხრათ, როგორი გოგონები არიან... ძალიან ლამაზები. გამარჯვებულებს ჯილდოები გადაეცათ - "იმიჯ-ცენტრის" ხელმძღვანელმა, ია კინმარიშვილმა, მათ "ორიფლიმისაგან" საჩუქრად დიდი კალათები მიართვა, რომლებშიც, როგორც ჩანს, ათასგვარი, ქალისთვის სანატრელი საგანი ეწყობა. გარდა ამისა, თამუნა თოფურიამ გაზეთ "24 საათისაგან" საგანგებო საჩუქარიც, ფულადი თანხაც მიიღო.

საზეიმო საღამო მხიარული და მრავალფეროვანი იყო: მომღერლებმა - სალომე ნვერაძემ, რომელსაც ჯერ-ჯერობით ახალგაზრდაც კი არ ეთქმის, სულ პატარა გოგონაა, და გვანცა ჩარჩხანიამ - იმღერეს; აჭარული ცეკვა ცეცხლოვან ახალგაზრდასთან ერთად "იმიჯ-ცენტრის" მოდელი გოგონამ შესრულა.

მაგრამ მთავარი გმირები, რასაკვირველია, მაინც "იმიჯ-ცენტ-

რის" მოდელეები იყვნენ: საცურაო კოსტუმებში, საღამოს კაბებში თუ საკარნავალოდ გამოწყობილები. ეს ამ ჯგუფისთვის პირველი საჯარო გამოსვლა იყო და საკმაოდ წარმატებულიც. ეს დღე ია კინმარიშვილმა მათ სავანგებოდ მიულოცა და დიპლომების გადაცემის შემდეგ გამოაცხადა, რომ რამდენიმე გოგონა ამიერიდან ამ მოდელეების სააგენტოს სრულფასოვანი მოდელი იქნება. "მოდელი არ არის თვითმზანი, - თქვა თავისი გამოსვლის ბოლოს იამ, - მიზანი საკუთარი თავის საუკეთესოდ წარმოდგენაა."

საზოგადოება ყველაფრით კმაყოფილი იყო: გოგონებითაც და სადღესასწაულო სუფრითაც. ისე, დარბაზში კი ჩურჩულებდნენ, ყველაზე ელეგანტური და ლამაზი მაინც იაო, მაგრამ ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ...



ფოტოკონკურსში გამარჯვებულები



ია კინმარიშვილი მოდელეთან ერთად

DERTOUR-ი გთავაზობთ

DERTOUR-ის წარმომადგენლობა საქართველოში LPS-ის ტურისტული ბიურო ვითარებით ინდივიდუალურ და ჯგუფურ ტურებს ნებისმიერ კონტინენტზე, სასტუმროების დაჯგუფებას ცენტრში იაფ ფასებში ადგილზე ვაჭარის გაყვით, Club Med-ის კურორტები, Disney Land, კრუიზები გემით - ნეპარ და ატლანტის ოკეანეებში, კარიბისა და ხმელთაშუა ზღვაში, ევროპის მდინარეებში, მანჩანის დატრავება ევროპის ნებისმიერ ქალაქში, სანაპირო ტურები ალპებში ავსტრია, გერმანია, შვეიცარია, იტალია, საფრანგეთი. ტურები ახალდაქორწინებულებისთვის, ასევე LUFTHANSA-ს ავიაბილეთები ევროპის ქალაქებიდან. ავიაბილეთები ყველა მისართლებში, რუსეთის და ევრო უზენი.

DERTOUR

მისამართი: გამახურდიას 24/2;
Tel: 91-24-24; Tel/Fax: 25-16-47;
E-mail: lps@access.sanet.ge

Visage

ესთეტიკური კოსმეტოლოგიის ცენტრი "ვიზაჟი"

პირველად საქართველოსა და ამიერკავკასიაში მაღალი ტექნოლოგიების პროფესიულ პროგრამას "Danne Montague-King"

მიკროპრისტალურ დერმოგრანის "Aesthipeel"

- მეზოთერაპია
- სხეულის კორექცია არაქირურგიული, ინტელექტუალური სისტემით "3CMA"
- ელექტრო ეპილატორი "BLEND, Flash"
- გამონაყარი, ავან, ფერიმტამელები, ფორიანობა, პიგმენტური ლაქები, ნაოჭები, კანის მოდუნება, ლოკალური ცხიმების დაგროვება, ცელულიტი, ორსულობის შემდგომი სტრეიები, ნაწიბურები, კანის მოვლა პოსტოპერაციულ პერიოდში.

ფალია შეილის 98, TEL 91-24-20, 25-27-02, მობილური 899-56-18-52

საგაზეთო ქალაქი

ფასდაკლებით

შ.პ.ს 26-30-სი
გთავაზობთ
საგაზეთო ქალაქს რუსეთიდან

საუბაო ფასდაკლება
15 იანვრამდე
ფასი -580\$-მდე

ტელ: 38 86 79 53 76 30 899 50 92 99

წაგალი "სალხინო"

ქართული ფლორის სამოცრება

მიიღეთ წაგალი "სალხინო" და ეს პრობლემა მოგხსნებათ. "სალხინო" მოხდენილია სპეციალური მეთოდებით და მათი მოხდენა.

"სალხინო" მოხდენილია მოხდენილი და მოხდენილი მოხდენილია, მოხდენილი მოხდენილი (კომპლექსური), მოხდენილი, მოხდენილი, მოხდენილი, მოხდენილი, მოხდენილი და მოხდენილი-მოხდენილი მოხდენილი. "სალხინო" მოხდენილი მოხდენილი მოხდენილი - მოხდენილი, მოხდენილი, მოხდენილი მოხდენილი მოხდენილი, მოხდენილი მოხდენილი და მოხდენილი მოხდენილი მოხდენილი.

იკითხეთ და შეიქმნეთ ავთიაქაგალი.

მისამართი: ვაჟა-ფშაველას 45, ტელ: 202424 ფაქსი: 202425, e-mail: public@24hours.ge იაპაქაბა ბაიოკომპლუა "საგაზეთო" სტაბაპი